

ფაქტობრივი ინფორმაცია:

ნატო-საქართველოს სწავლება 2016

10-20 ნოემბერს ვაზიანის IV მექანიზირებულ ბრიგადასა და მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისში“ მდებარე ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) „ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ გაიმართება.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ ნატოს „მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობის“ (ACT), ნატოს სახმელეთო ძალების სარდლობის (LANDCOM), ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრის (JFTC), პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერითა და ორგანიზებით იმართება და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (SNGP) ტარდება.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ სამეთაურო-საშტაბო სწავლებაა, რომელიც კომპიუტერული მხარდაჭერით ჩატარდება. სწავლება ქართველი ოფიცრების ხელმძღვანელობით მოქმედ მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის წევრებს კრიზისის საპასუხო ოპერაციის დაგეგმვის, კოორდინირებისა და აღსრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დახვეწაში დაეხმარება.

აღნიშნული სწავლებით შემოწმდება როგორც ქართველი ოფიცრების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობები, ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობა ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან. ასევე, შემოწმდება კრიზისულ სიტუაციებში კომპლექსური მიდგომების განხორციელების შესაძლებლობები, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობას მოიცავს.



სწავლება ნატო-საქართველოს ხანგრძლივ სამხედრო თანამშრომლობაში მორიგი წინგადადგმული ნაბიჯია და ძლიერი თავდაცვის, ურთიერთთავსებადობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართ ურყევ ძალისხმევას გამოხატავს.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ რიგით მეორე სწავლებაა, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში ხორციელდება; პირველი სწავლება, „Agile Spirit 2015“, დაფუძნებული იყო აშშ-საქართველოს ყოველწლიურ ორმხრივ სწავლებაზე. აღნიშნულმა წვრთნამ ფორმატი შეიცვალა და ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (SNGP) ჩატარდა.

საქართველოსთვის ნატო-საქართველოს სწავლება 2016 არის გარდამტეხი, რადგანაც ეს არის:

- პირველი წვრთნა, რომელშიც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი კრიზისულ სიტუაციებში საპასუხო ოპერაციების მრავალეროვნულ სწავლებას ხელმძღვანელობს;
- პირველი ნატო-საქართველოს წვრთნა, რომელსაც წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) მასპინძლობს;
- პირველი შემთხვევა, როდესაც ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრი (JFTC) სწავლების ხელმძღვანელია საქართველოს ტერიტორიაზე;
- პირველი შემთხვევა, როდესაც ნატოს სწავლების დაგეგმვისა და შესრულების პროცედურები სრულიად არის დაცული;
- პირველი ნატო-საქართველოს სწავლება, რომელიც ნატოს რეგულარული სწავლებების ციკლშია და მომავალშიც განხორციელდება.

აღნიშნული სწავლება რიგით მესამე მასშტაბური საერთაშორისო სწავლებაა 2016 წელს. სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2016“ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობით მაისში ჩატარდა, ხოლო მრავალეროვნული სწავლება „Agile Spirit 2016“ სექტემბერში გაიმართა.

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) როლი ამ სწავლებაში ერთმნიშვნელოვნად საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, თავსებადობის ამაღლებას, საერთაშორისო მისიებში

მონაწილეობისთვის მომზადებას და სწავლებების მართვის გამარტივებას ემსახურება.

მონაწილეობა

საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან ერთად, სწავლებაში ნატოს 11 წევრი და 2 პარტნიორი ქვეყანა, ასევე ნატოს სტრუქტურაში შემავალი შტაბების წარმომადგენლები მონაწილეობენ. ნატო-საქართველოს სწავლებაში სულ **250 მონაწილეა ჩართული**: სწავლების საწვრთნელი აუდიტორია (75) და სწავლების კონტროლის ჯგუფი (175). სწავლებაში არაერთი ექსპერტი და დამხმარე ჯგუფია წარმოდგენილი.

- სწავლებას ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) მასპინძლობს, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) 13 მიმართულებიდან ერთ-ერთი პროექტია.
- საქართველოს შეიარაღებული ძალები სწავლებას მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის უფროსის პოზიციიდან უძღვება. საქართველოს გენერალური შტაბი ბრიგადას მეთაურობს, როგორც სწავლების განმახორციელებელი სტრუქტურა.
- ნატოს უმაღლესი ტრანსფორმაციის სარდლობა, რომელიც ნორფოლკში, ვირჯინიის შტატშია განთავსებული, ამ სწავლების სპონსორია და მის ლოგისტიკურ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს.
- ნატოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი სწავლების ხელმძღვანელია.
- ნატოს სახმელეთო ჯარების სარდლობა საქართველოს გენერალურ შტაბს ნატოს სწავლებების პროცესებსა და წესებთან დაკავშირებით უწევს კონსულტაციებს და აძლევს რეკომენდაციებს.
- 13 მოკავშირე და პარტნიორი ქვეყანა სწავლებაში სამხედრო ოფიცრებითაა ჩართული. სწავლებაში მონაწილეობენ: თურქეთის რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა, ნიდერლანდების სამეფო, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთის რესპუბლიკა, ბელგიის სამეფო, სლოვენის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და პარტნიორი ქვეყნები: უკრაინა და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია*.

- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) მიმართულებები, როგორცაა სტრატეგიული დაგეგმვა და სტრატეგიული კომუნიკაციები, ასევე, ჩართული არიან ნატო-საქართველოს სწავლებაში.
- სწავლებაში მონაწილეობენ ნატოს მიერ აკრედიტებული ეროვნული ცენტრების წამომადგენლები და ექსპერტები, კერძოდ, სამხედრო პოლიციის სრულყოფის ცენტრი (პოლონეთი), კრიზისების მენეჯმენტის და კატასტროფებთან გამკლავების სრულყოფის ცენტრი (ბულგარეთი), გაერთიანებული მრავალეროვნული სიმულაციების ცენტრი (აშშ-ის ცენტრი გერმანიაში).
- სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ ჰუმანიტარული ორგანიზაციები, როგორებიცაა მთავრობათაშორისი ორგანიზაციები: „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი“ (ICRC), „გაეროს ჰუმანიტარული საკითხების კოორდინაციის ოფისი“ (OCHA) და არასამთავრობო ორგანიზაცია - „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children).

<http://www.act.nato.int/nato-georgia-exercise-2016>

*თურქეთი მაკედონიის რესპუბლიკას აღიარებს მისი კონსტიტუციური სახელწოდებით.